საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმაღლესი და პროფესიული განათლება 2018

01.03.2019

www.geostat.ge

01.03.2019

უმაღლესი განათლება

(2018/2019 სასწავლო წლის დასაწყისისთვის)

საქართველოში 63 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა, აქედან 19 სახელმწიფო და 44 კერძო. დაწესებულებათა რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 12 ერთეულით შემცირდა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უდიდესი ნაწილი, 62%, მოდის ქალაქ თბილისზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, ერთეული



2018/2019 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულია 41.6 ათასი სტუდენტი, აქედან სახელმწიფო უნივერსიტეტებში 27.8 ათასი, ხოლო კერძო უნივერსიტეტებში - 13.8 ათასი. სტუდენტთა მიღება, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, შემცირდა 2.7 ათასით. შემცირება ძირითადად კერძო უნივერსიტეტებზე მოდის.

სტუდენტების მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ათასი



საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობამ 147.7 ათასი შეადგინა, რაც წინა სასწავლო წელთან შედარებით 2.7%-ით მეტია. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს სტუდენტთა საერთო რიცხოვნობის 65%, ხოლო კერძოში - 35%. სტუდენტთა საერთო რიცხოვნობის 50.2% არის ქალი და 49.8% კაცი.

სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ათასი



2018 წლის მონაცემებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაამთავრა 24.3 ათასმა სტუდენტმა, რაც წინა წელთან შედარებით 7.5%-ით ნაკლებია. კურსდამთავრებულებიდან 57.4% არის ქალი, ხოლო 42.6% - კაცი. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კურსდამთავრებულთა რაოდენობა 3-ჯერ აღემატება კერძო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების რიცხოვნობას.

კურსდამთავრებულთა რაოდენობა უმაღლესი განათლებით, ათასი



ასაკობრივ ჭრილში 2018-2019 სასწავლო წელს სტუდენტების უდიდესი ნაწილი (16.7%) მოდის 19 წლის ასაკის სტუდენტებზე. წინა, 2017/2018 სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებლებში 20 წლის ასაკის სტუდენტები ჭარბობდნენ (მთლიანი რაოდენობის 17.4%).



2018/2019 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საზღვარგარეთ სასწავლებლად გაიგზავნა 673 სტუდენტი, რაც 91 სტუდენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან გაგზავნილი სტუდენტების რაოდენობა 2-ჯერ აღემატება კერძო უნივერსიტეტებიდან გაგზავნილ სტუდენტთა რაოდენობას.

უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობამ 12.2 ათასი შეადგინა, რაც 21.4%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ და უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა, 2018-2019 სასწ.წ., კაცი



უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულია 9.4 ათასი პროფესორ-მასწავლებელი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 15%-ით მეტია. პროფესორ-მასწავლებელთა 53.8% არის ქალი, ხოლო 46.2% - კაცი. მათი უდიდესი ნაწილი, 38.5%, არის ასოცირებული პროფესორი.

პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2018-2019 სასწ.წ., კაცი



2018 წლის მონაცემებით, საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სადოქტორო პროგრამებს ახორციელებდა 32 უნივერსიტეტი (2017 წელს - 29 უნივერსიტეტი). აღნიშნულ უნივერსიტეტებში მიღებული დოქტორანტების საერთო რიცხოვნობა 2018 წელს 2017 წელთან შედარებით თითქმის 20 %-ით შემცირდა (რაც, ძირითადად, განპირობებულია პროგრამების აკრედიტაციის განახლებით) და შეადგინა 1106 პირი. აღნიშნულმა პროცესმა, შესაბამისად, გამოიწვია ცვლილება დოქტორანტების საერთო რიცხოვნობაში (3512), რაც 11 %-ით ნაკლებია 2017 წლის მაჩვენებელზე.

დოქტორანტების განაწილება
სადოქტორო პროგრამების მიხედვით

	რაოდენობა	%
განათლება	46	1.3
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	577	16.4
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	1542	43.9
მეცნიერება	488	13.9
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	379	10.8
სოფლის მეურნეობა	71	2.0
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	357	10.2
მომსახურება	52	1.5
დოქტორანტების რიცხოვნობა, სულ	3512	100.0

2017 წელთან შედარებით, სადოქტორო პროგრამებზე მიღებულთა რაოდენობის ზრდა 2018 წელს (შესაბამისად, 88 დოქტორანტიდან 124 დოქტორანტამდე) აღინიშნა ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაზე. 2018 წელს აღნიშნულ პროგრამაზე, როგორც მიღებულთა (78), ისე კურსდამთავრებულ (28) დოქტორანტთა უმეტესობა ქალია.

წინა წელთან შედარებით, კურსდამთავრებული დოქტორანტების რიცხოვნობა 13 %-ით გაიზარდა და 485 პირი შეადგინა. ზრდა აღინიშნა სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის და სამართალის, მეცნიერების და საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგების სადოქტორო პროგრამებზე.

დოქტორანტურის კურსდამთავრებულების რაოდენობა პროგრამების მიხედვით 2018 წელს, %



2018 წელს კურსდამთავრებულ დოქტორანტთა საერთო რიცხოვნობიდან 60.8 პროცენტი ქალია, ხოლო 39.2 პროცენტი - კაცი.

დოქტორანტურის კურსდამთავრებულები 2018 წელს, კაცი

	ქალი	კაცი
სულ	295	190
მათ შორის სადოქტორო პროგრამების მიხედვით:		
განათლება	19	3
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	51	9
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	104	87
მეცნიერება	63	34
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	23	38
სოფლის მეურნეობა	5	6
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	29	11
მომსახურება	1	2

კლება აღინიშნა დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების რიცხოვნობაში, რაც განპირობებულია სამეცნიერო ხელმძღვანელზე დოქტორანტების რაოდენობის ლიმიტის ზრდით. ამასთან, რიგ შემთხვევებში დოქტორანტს ყავს 2 ხელმძღვანელი: ქართველი და უცხოელი.

2018 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, დოქტორანტთა საერთო რაოდენობიდან დიდი ნაწილი მოდის 35 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფზე.

2018 წელს უცხოელი დოქტორანტების საერთო რაოდენობიდან 64 % კაცია. 2017 წელთან შედარებით მათი რიცხვი მნიშვნელოვნად არის შემცირებული, ისევე, როგორც დოქტორანტების საერთო რაოდენობა.

უცხოელი დოქტორანტების რიცხოვნობა



პროფესიული განათლება

საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებდნენ სტუდენტების მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2018 წლის ბოლოსთვის იყო 118, აქედან 39 საჯარო და 79 კერძო. 2017 წელს ფუნქციონირებდა 125 დაწესებულება (შესაბამისად 42 საჯარო და 83 კერძო).

2018 წელს ჩარიცხულია 11 820 სტუდენტი, რომელთაგან 48 % ქალია და 52 % - კაცი. 2017 წელთან შედარებით სტუდენტების მიღება შემცირებულია 24,4 %-ით. ჩარიცხული სტუდენტების უმეტესობა მოდის ინჟინერიის პროგრამებზე (31.6 %), ჯანდაცვის (15.8 %), ბიზნესის ადმინისტრირებაზე (15.0 %) და აგრარულ მეცნიერებებზე (14.5 %). ჩარიცხული სტუდენტების 26.5 % არის 18-20 წლის ასაკის, 20.9 % - 21-23 წლის, ხოლო ყველაზე მცირე (9.1 %) - 15-17 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება.

ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა, %



რაც შეეხება მონაცემებს რეგიონების მიხედვით, ჩარიცხული სტუდენტების მიხედვით ლიდეროებს ქ. თბილისი (46,7 %), რომელსაც მოსდევს აჭარის არ (22,4 %), იმერეთი (6,8 %), კახეთი (6,0%), სამეგრელო-ზემო სვანეთი (5,5 %), და ქვემო ქართლი (1,1 %).

2018 წელს კურსდამთავრებულთა რიცხოვნობამ შეადგინა თითქმის 12 ათასი სტუდენტი, რომელთაგან 50.4 % ქალია და 49,6 % კაცი. 2017 წელთან შედარებით კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა 22,3 %-ით არის გაზრდილი. მათი უმეტესობა მოდის ინჟინერიის პროგრამებზე (30.4 %), ჯანდაცვის პროგრამებზე (15.0 %), ბიზნესის ადმინისტრირებაზე (16.7 %), აგრარულ მეცნიერებებზე (13.9 %). კურსდამთავრებული სტუდენტების უმეტესობა 29.1 % არის 21-23 წლის ასაკის, 8.6 % - 18-20 წლის ასაკის და 3,7 % - 15-17 წლის ასაკის.

კურსდამთავრებულთა რაოდენობა, %



კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით ასე ნაწილდება: ქ. თბილისი (51,5 %), აჭარის არ (14,7 %), იმერეთი (9,7 %), სამეგრელო-ზემო სვანეთი (6,4 %), ხოლო ყველაზე მცირე მოდის ქვემო ქართლის რეგიონზე (2,6 %).

საკონტაქტო პირი:

ირმა გვილავა,
ტელ: 2 36 72 10 (608),
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
E-mail: igvilava@geostat.ge